N 67/11
02.02.17

შპს "პისი მაქსის" წილის 44,39%-ის ფიზიკურ პირ კობა ღურწკაიას, 20%-ის ფიზიკურ პირ მამუკა ქავთარაძის და 15,61%-ის ფიზიკურ პირ ირაკლი ქავთარაძის მიერ შეძენაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიას 2016 წლის 21 დეკემბერს წერილით მიმართა შპს "პისი მაქსმა" (კომისიაში რეგისტრაციის №6/13242-16 21.12.2016), შპს "პისი მაქსის" წილის 44,39%-ის ფიზიკურ პირ კობა ღურწკაიას (პ/ნ 19001001822), 20%-ის ფიზიკურ პირ მამუკა ქავთარაძის (პ/ნ 01024004380) და 15,61%-ის ფიზიკურ პირ ირაკლი ქავთარაძის (პ/ნ 01030004487) მიერ შეძენაზე თანხმობის მიღების მოთხოვნით.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, წილის შეძენის განზრახვის შესახებ კომისიას უნდა ეცნობოს შეძენის განხორციელებამდე. შეტყობინების ვალდებულება ეკისრება ავტორიზებულ პირს, რომლის წილის შეძენაც ხდება.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შერწყმის ან შეძენის თაობაზე ავტორიზებული პირის სრულყოფილი შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში გასცეს თანხმობა შერწყმაზე ან შეძენაზე ან ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის მოხდენის დადგენის მიზნით მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის ან შეძენის გამოკვლევის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს "პისი მაქსი" წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.1 ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.2 ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.3 ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.4 მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის სახაზო (სადენიანი) გატარების საშუალებებითა და/ან მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული (სადენიანი) სისტემების ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური სახაზო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალური საშუალებებს ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.5 მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის (უსადენო) გატარების საშუალებებით

უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული მაგისტრალური არხებისა და შესაბამისი ელემენტების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

B.F.2 ინტერნეტ მომსახურება

WiFi

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს "პისი მაქსის" მიერ 2016 წლის 21 დეკემბრის №6/13242-16 წერილით კომისიაში წარმოდგენილი იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ინფორმაცია შპს "პისი მაქსის" საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაცია შპს "პისი მაქსის" შემოსავლების შესახებ;
- წილის გაყიდვისა და წილის შეძენის მსურველთა განზრახულობის წერილი, დამოწმებული ნოტარიულად.

მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, შპს „პისი მაქსის" წილის 100%-ის მფლობელია ნიკოლოზ დიდებულიძე (პ/ნ 01027025591). კომპანიის დირექტორია ლევან ხუნდაძე.

წარმოდგენილი წერილის თანახმად, შპს „პისი მაქსის" წილის 100%-ის მფლობელის - ნიკოლოზ დიდებულიძისაგან წილის 80%-ის შეძენის განზრახვა აქვთ ფიზიკურ პირებს შემდეგი ოდენობით: კობა ღურწკაია - წილის 44,39%, მამუკა ქავთარაძე - წილის 20% და ირაკლი ქავთარაძე - წილის 15,61%.

კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, შპს „პისი მაქსის", შპს „პისი მაქსის" პარტნიორის - ნიკოლოზ დიდებულიძის, შპს „პისი მაქსის" წილის შეძენის მსურველი ფიზიკური პირების - კობა ღურწკაიას, მამუკა ქავთარაძის, ასევე შპს „პისი მაქსის" დირექტორის ლევან ხუნდაძის აფილირებულობა სხვა ავტორიზებულ პირებთან არ დგინდება.

ამასთან ერთად, კომისია აღნიშნავს, რომ ფიზიკური პირი ირაკლი ქავთარაძე წარმოადგენს ავტორიზებული პირის - შპს „სერვისლაინის" პარტნიორს და წილის 30%-ის მფლობელს. კომისიის საერთო სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის თანახმად, შპს „სერვისლაინს" 2016 წლის განმავლობაში შემოსავლები არ უფიქსირდება.

კომისიის საერთო სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის თანახმად, შპს „პისი მაქსის" საქმიანობის ძირითადი სახეა საკომუნიკაციო ქსელით მომსახურება. აღნიშნული მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2016 წლის იანვრიდან ნოემბრის თვის ჩათვლით შეადგინა 1,165,206 ლარი.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ „შპს „პისი მაქსის" კუთვნილი საოპერაციო აქტივის შპს "კავკასუს ონლაინის" მიერ შეძენაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვის შესახებ" კომისიის 2016 წლის 1 დეკემბრის №779/11 გადაწყვეტილების თანახმად, შპს „პისი მაქსს" მიეცა თანხმობა, შპს „პისი მაქსის" კუთვნილი საოპერაციო აქტივის შპს "კავკასუს ონლაინის" მიერ შეძენაზე. ვინაიდან აღნიშნული ტრანზაქცია ამ პერიოდისათვის არ განხორციელებულა, კომისიამ №08/4279-16 26.12.2016. წერილით მიმართა შპს „პისი მაქსს" განმარტებისათვის, რომელი ტრანზაქცია განხორციელდებოდა პირველ რიგში, რაზეც 6/278-17 13.01.2017 წერილით კომისიას ეცნობა, რომ პირველ რიგში განხორციელდებოდა შპს „პისი მაქსის" პარტნიორთა ცვლილება, ხოლო შემდგომ შპს „პისი მაქსის" კუთვნილი საოპერაციო აქტივის შპს "კავკასუს ონლაინის" მიერ შეძენა. კომისია აღნიშნავს, რომ ტრანზაქციების რიგითობა არანაირ გავლენას არ მოახდენს ელექტრონულ საკომუნიკაციო ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „პისი მაქსის" წილის 44,39%-ის ფიზიკურ კობა ღურწკაიას, წილის 20%-ის ფიზიკურ პირ მამუკა ქავთარაძის და წილის 15,61%-ის ფიზიკურ პირ ირაკლი ქავთარაძის მიერ შეძენის შემთხვევაში, აღნიშნული ტრანზაქცია შეიძლება მიჩნეულ იქნეს თავსებადად ელექტრონულ საკომუნიკაციო ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოსთან.

შესაბამისად, კომისიამ მიიჩნია, რომ არ არსებობს შპს „პისი მაქსის" წილის 44,39%-ის ფიზიკურ კობა ღურწკაიას, წილის 20%-ის ფიზიკურ პირ მამუკა ქავთარაძის და წილის 15,61%-ის ფიზიკურ პირ ირაკლი ქავთარაძის მიერ შეძენაზე წინასწარი თანხმობის მიცემის დამაბრკოლებელი გარემოებები.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა შპს „პისი მაქსს", შპს „პისი მაქსის" წილის 44,39%-ის ფიზიკურ კობა ღურწკაიას,

წილის 20%-ის ფიზიკურ პირ მამუკა ქავთარაძის და წილის 15,61%-ის ფიზიკურ პირ ირაკლი ქავთარაძის მიერ შეძენაზე.

2. განემარტოს შპს „პისი მაქსს“, რომ ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, წილის მფლობელის ცვლილების შემთხვევაში, შპს „პისი მაქსი“ ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე კომისიას აცნობოს ცვლილების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში;

3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „პისი მაქსისათვის“ გაგზავნა (ი. ხარებავა);

4. გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „პისი მაქსისათვის“ ჩაბარების დღიდან;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6), შპს „პისი მაქსისათვის“ ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის ჩაბარების დღიდან, ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტს (დ. გოგიჩაიშვილი).

კომისიის თავმჯდომარე	ვახტანგ აბაშიძე
კომისიის წევრი	ელისო ასანიძე
კომისიის წევრი	კახი ბექაური
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე
კომისიის წევრი	მერაბ ქათამაძე